№ 206
სამშაბათი, 26 სექტემბერი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	70
9 . . .	8	—	3 . . .	3	55
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 206
სამშაბათი, 26 სექტემბერი 189ɫ

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 სექტემბერს.

სასწავლებელი პანსიონით სტ. ხოჯივანოვისა.

დაარსებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით; ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველი კლასებისათვის. ფასები საშუალოა.

ქუთაისში, ტფილისის ქუჩა, დადიანის ქუჩის შესახვევში, ხოჯივანოვის სახლი.

(3—1887—1).

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 1895 წლის 7 ოქტომბერს დღის 12 საათზედ საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა სამის წლით ქალაქის მიწა, რომელიც კუკიის მხარეს იმყოფება. მიწა შესდგება სახნავ-საძოვრიდგან და სულ იქნება 888 დესეტინა 1800 ოთხ-კუთხი საჟენი.

იჯარით აღების პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ გამგეობის კანცელარიაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

(1—6—1).

ექიმი
ი. ს. ელიაშვილი
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, პოპოვის სახლებში, № 29, სასტუმრო „იტალიის“ პირდაპირ. ავადმყოფებს მიიღებს კვლავინდებურად.

(10—5).

მზრუნველი ქუთაისის პირველდაწყებითის სამეურნეო სასწავლებლისა ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში მოსწავლეთა მისაღები ეგზამენები დანიშნულია ოქტომბრის 16-ს და 17-სა დღესა.

(3—6—)3.

ტფილისის საგალოსნო სკოლაში
მისაღები ეგზამენები დანიშნულია
16 ოქტომბრისათვის.
თხოვნები მიიღება 14 ოქტომბრამდის.

(3—1878—3)

სურათები
მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა
ისყიდებიან:
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.
ფასები:
კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავაძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

ახალი ამბავი

*** უწმიდესმა სინოდმა რამდენიმე ასი ათასი მანეთი გადასდო სამრევლო სკოლების გასამრავლებლად და აწინდელზედ უფრო კარგად მოსაწყობად. ამ ფულისა რამდენიმე ნაწილი ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებსაც უნდა მოხმარდეს. სხვათა შორის, ამას წინად ტფილისის საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ წინადადება წარუგზავნა გორის განყოფილებას ამავე საბჭოისას, აირჩიოს გორის მაზრაში შესაფერი ადგილი ორ-კლასიანის სკოლის ასაშენებლად იმ ფულით, რომელიც უწმიდესმა სინოდმა გადასდო ამ აზრით. სამოსწავლო საბჭოს გორის განყოფილებისას 6 სექტემბერს ჰქონდა ამის თაობაზე სხდომა და გარდასწყვიტა ტირძნისის ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი გარდაკეთებულ იქმნას ორ-კლასიანად. ხსენებული სასწავლებელი გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის ი. დ. სულხანიშვილის მამულშია აშენებული, რომელმაც ადგილი სკოლის დაარსების დროს მუქთად დაუთმო.

შეუტყვია თუ არა ბ-ნ სულხანიშვილს, რომ ტირძნისის ერთ-კლასიანი სასწავლებელი ჰსურთ ორ-კლასიანად გადააკეთონო, 6 სექტემბერს საბჭოს სხდომაზე განუცხადებია, მისცენ ნება თავისის ხარჯით ააშენოს [illegible] საჭირო შენობა, დაუთმოს მეტი ადგილი და თუ ხსენებულ სასწავლებლთან სამეურნეო განყოფილებაც იქნება გახსნილი, ვენახსა სახნავ-სათესს მიწასაც დავუთმობ სკოლასო.

*** გაზ. „ჩერნომორ. ვესტ“-ი სწერს ერთ ამბავს, რომელიც მომხდარა ქ. ტრაპიზონში 20 სექტემბერს: ნაშუადღევის ხუთს საათზედ ტრაპიზონში გიაურ-მოედანზედ დასეირნობდნენ ერთის მხლებელით დივიზიის უფროსი ამდი-ფაშა, ვანის გუბერნატორი ბახრი-ფაშა თავდგირიძე და ოსმალეთის კონსული. ამ დროს მახლობელ ქუჩიდგან გამოცვივდნენ სამი შეიარაღებული სომეხი და ზემოხსენებულ პირთ დაუწყეს რევოლვერის სროლა. ბახრი-ფაშა და ამდი-ფაშა დაჭრილნი არიან ფეხში; ორივ დამნაშავეთაგანი შეიპყრეს ერთი გაიქცა. ხალხი შემოეხვია დაჭრილებს და აღელვებულთ უნდოდათ თვით დაესაჯნათ დამნაშავე სომხები.

*** ოც-და-ოთხს სექტემბერს დრამა „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ ბილეთები მთლად გაიყიდა. ჩარჩებს, რა დაენახათ, რომ ხალხი ბევრი მოაწყდა წარმოდგენას, ეყიდნათ რამდენიმე აბაზიანი ბილეთი და მერე თითოს მანეთადა და ოთხ აბაზად ჰყიდდნენ. ამგვარი მაგალითი წინადაც ყოფილა. კარგი იქნება თეატრის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს, რათა სახხომინდლოდ აღარ მოხდეს ასეთი ამბავი.

*** სოფ. დაგომ-არხონი-მთა, (კავკავის მაზრა): დაგომ-არხონის სამრევლოში ეს ორი წელიწადია რაც აღმოაჩინეს ვერცხლის მადანი [illegible], თხუთმეტი თავ[illegible] სხვა-და-სხვა მადნეულობაც აღმოჩნდაო. სოფ. გალიათის სამრევლო დაგომ-არხონზედ შორს არ არის; ამ გალიათშიც აღმოაჩინეს ვერცხლის მადანი. ორივე ადგილას ამ ჟამად მუშაობა არის. მადნებიდამ აღმონაჩენი ვერცხლი და სხვა მადნეულობა სადონში ჩამოაქვთ და აქა სწმენდენ მანქანებით, რადგანაც თვით მადნებში ჯერ არავითარი მოწყობილობა არ არის გამართული.

*** ჩვენ მივიღეთ წიგნი: „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა“. ამ წიგნში აწერილია გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია. იგი პირველად დაბეჭდილი იყო ჟურ. „მოამბეში“ და ეხლა ცალკე წიგნად გამოსცა ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ; წიგნი შეიცავს 52 გვერდს და ღირს ექვსი შაური.

გაზ. „ნოვ. ვრ.“-ს სწერენ ბათუმიდგან: „დილის შვიდ საათზედ ჩვენ გამოველით სუხუმიდამ და გავემგზავრენით ბათუმისაკენ, გვეგონა, ოთხის საათის შემდეგ მივაღწევდით დანიშნულს ადგილს. მაგრამ ჩვენმა იმედმა ამაოდ ჩაიარა. დაუბერა სამხრეთის ქარმა და ზღვამაც დაიწყო ნელნელა აღელვება. ღელვა თან-და-თან ძლიერდებოდა და ბოლოს, როდესაც უკვე კარგად დავშორდით სუხუმს, იმისთანად გამძვინვარდა ზღვა, რომ გემი „ნიკოლზი“-რ ოგორც ნაფოტი, ისე თამაშობდა ტალღათა შუა. გემზედ ათჯერ დიდი ტალღები ხან საშინელის სიძლიერით დაეჯახებოდნენ მას ხან-კი ზევიდგან გადაუვლიდნენ და წყლით ავსებდნენ გემის იატაკს. წყალი თვით გემშიაც ჩამოდიოდა. ჩვენ [illegible] გადაბრუნებული [illegible] ქარის გრიალი, ტალღათა ტყორცნა საშინელს სურათს წარმოადგენდნენ. გადარჩენის იმედი აღარა გვქონდა. გემში მსხდომნი ყველანი ავად იყვნენ გარდა ჩემისა და ერთის ოფიცრისა. პურის ჭამა შეუძლებელი იყო. ტაბლებიდგან თეფშები ძირს ცვიოდა. გზაზედ არც ერთი ნავთ-სადგური არ იყო, რომ შეგვძლებოდა უხიფათოდ შესვლა. მივდიოდით ბათუმისაკენ და დილის შვიდს საათზედ გამოსულთ იმ ანგარიშით, რომ ოთხ

ფელეტონი

სიმღერა.

ვნახე სამოთხე ამ ქვეყნად,
რა ტურფა სანახავია:
ხელთ მეპყრა კონად შეკრული
ჩემის სამშობლოს სახია;
არც თავი უჩანს, არც ბოლო,
ასე ვის მოუჩმახია?!
მაგრამ ტურფაა,—გამოსჭვირს
შიგ სახე საქართველოსი:
მთა, ტყე, მდინარე, ყვავილი
მშობელი მიწის მდელოსი;
შიგ ჩაქსოვილა გმირთ სახე,
მამა-პაპათა ქველობა,—
სისხლი და ოფლი ერთურთში
ხმლითა მამულის მცველობა
და ჩემის სატრფიალოსი
ჟამთ იქით ძველის-ძველობა.
ვნეტარობ ნეტარებითა,
ვერ ვძღები იმის ცქერითა;
ეს კონა გულშიც ჩამერგო
თავ-მოწონებით, მღერითა.
ვინ მომერევა, ვინ მომკლავს
უკვდავს ხედვით და სმენითა?!
შევქმნილვარ ცა-ხმელთა სწორი
ამ ნეტარების თმენითა.
ვლაღობ და ვხარობ ფრიადა
ხელს ჩანგით, პირში ენითა,
აჰყვავებულის გულისა
აღფრთოვანების კბენითა.

ვაჟა-ფშაველა.

◆

ქართველები და ქართული ენა.

ყველანი იმას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდიდარი ენააო, მდიდარიაო არა-თუ მარტო თავისის საგრამატიკო ფორმებით, არამედ ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არავინ არა ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვაცნობოს მისი მშვენიერება, თვალ-წინ გადაგვიშალოს ის საუნჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებამა და ჭკუამ. უეჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქართველთა წარმატებისა დ-წინსვლის საქმეს და თვით მშრომელსაც საპატიო ადგილს მოუპოვებს საქართველოს მოღვაწეთა შორის. რომელიმე ენის სულისა და გულის შემეცნება დიდი ღვაწლია, ვინაიდგან ამ შემეცნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი და მუყაითი შრომა, ფიქრი, განუწყვეტელი, ჩხრეკა-ძიება, ბეჯითი შესწავლა ძველის ხელთ-ნაწერებისა, შედარება და შეთანხმება სხვა-და-სხვა კუთხის სიტყვებისა და ამავე კუთხეებში დაშთენილ სიტყვებ-ფრაზების გამომზევება და სხ.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თვისის წინმსვლელობის დროს, მრავალი სიტყვა არ გაქვავებოდეს და ამ გაქვავებულ-გაუქმებულ სიტყვათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის) სიტყვა არ შემოეღოს ხმარებაში. ხოლო შემჩნეულია, რომ მრავალი სიტყვა, რომელიც შემდეგ თაობას აღარ ესმის, წინანდელ თაობისათვის ყველა ესეთი სიტყვები გასაგები ყოფილა და მაშინ არც ერთი სიტყვა, აღმნიშვნელი რომელიმე ცნობისა, გაუგებარი და ანუ გაქვავებული არ ყოფილა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით უმეტეს ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორც ქართული ენაა, რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2500 წლის ისტორია.

სიტყვების გაქვავება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია მრავალ გარემოებებზედ, რომელთაგან უაღრესნი არიან: ერთისა და იმავე ტომ-მოდგმის წარმომადგენელთა შორის მისვლა-მოსვლის სიძნელე და მწერლობის უქონლობა. მისვლა-მოსვლის სიძნელე დამოკიდებულია გვარ ტომის ადგილ-სამყოფელოს გეოგრაფიულ შენობაზედ: მაგარი ძნელი ხევები, ღელეები, დიდი მთები, უგზოობა, პოლიტიკური დამოკიდებულება და სხ. დიდად აბრკოლებენ ცივილიზაცია-კულტურის მოფენას ქვეყანაში და აფერხებენ აგრეთვე ენის ძლევა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულში. ამისთანა ყოფაში სიტყვების გაქვავება, ენის კილოკავებად დაყოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია თვისის აზრისა, ფიქრისა და მისწრაფების გამოსახატველი ნიშნები—ანბანი და ვერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე. ამ ყოფაში არის დღეს ლეკური ენა, რომელიც მისვლა-მოსვლის სიძნელისა და მწერლობის უქონლობისა გამო გადაშლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის ახალს დაღესტნის ჰომიროსს ანუ ჰეროდოტეს, რომ ეს ლეკური კილო-კავები ისევ შეიკრას, დაზავდეს, შეილიოს და აღჩქაფდეს საერთო ლეკურ ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქვავებულ სიტყვათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერთო ენისაო; როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისს ნაკადულების შემწეობით, ისე ენაც, თავისის წინ-სვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თვისის კილო-კავებიდამაო, უამისოდ იგი დიდ მანძილს ვეღარ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გალატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს, რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკადულების სიცოტავსა გამო, ზღვამდის ვეღარ უწევსო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ჯერ ისევ ქრისტეს წინა დროსვე ჰქონია წერის ნიშნები—ეგ-

საათს ვიმოგზაურებთო. მხოლოდ საღამოთი ძლივ-ძლივობით მივაღწიეთ ბათუმს.

◆

თ. რაფიელ ერისთავის საიუბილეო პროგრამის ესკიზი, რომელიც შეიმუშავა პირველ დაწყებითმა საიუბილეო კრებამ:

1) დაინიშნოს საიუბილეო დღესასწაული მთავრობის ნება-დართვით ოქტომბრის 22.

2) ტფილისის გამგე-კომიტეტი დანიშნავს საქართველოს დაბა-ქალაქებში ადგილობრივ აგენტებს, რომელთაც დავალებული ექნებათ მუნებური კომიტეტების შედგენა.

3) ადგილობრივმა კომიტეტმა თავს უნდა იდვას დეპუტაციების გამოგზავნა და იუბილიარის სახელზედ ფულის შეგროვება, როგორც საჩუქრებისთვის, ისე მის სახელზედ ფონდის დასაარსებლად.

4) ყოველი ადგილობრივი კომიტეტიდგან იქნება გამოგზავნილი დეპუტაცია შესაფერი ისტორიული ტანთ-საცმელით და იარაღით მორთული; ხოლო გურიიდგან, სამეგრელოდგან, ქართლიდგან და კახეთიდგან თითო გუნდი მომღერლებისა.

5) დილით ცხრა საათზედ უნდა იქმნეს სიონის, ან ქვაშვეთის ტაძარში იუბილიარისათვის პარაკლისი გადახდილი. შემდეგ იუბილიარს ლიტერატორთა გუნდი მოიყვანს მუხრან-ბატონის დარბაზში (კლუბში), სადაც იქნება დეპუტაციების მილოცვა.

6) სანადიმოდ წავლენ ერთ-ერთ ბაღში მიხაილოვის ქუჩაზედ.

7) [illegible] მოხდება დღესასწაულებრივი გამოსვლა თეატრის დარბაზამდის, სადაც გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

8) დაწვრილებით შემუშავება ამა პროგრამისა დი მისი ასრულება დავალებული ექნება ამორჩეულ გამგე და ამსრულებელ კომიტეტებს.

◆

ახირებული ამბავი.

გამოჩენილს კომპოზიტორს ბელონის ისე არ შეეძლო თურმე წერა, თუ ან ნუში, ან კონფეტი არ ჰქონოდა პირში. ასე რომ ოპერის თვითოეულ მოქმედების შეთხზვის დროს ავტორი მრავალის საოცარისა და პოეტურ მელოდიებისა ერთ გირვანქა ნუშს შესჭამდა და ორ გირვანქა კონფეტს.

ამისთანა ტკბილეულობის მოყვარული კაცი, რომელსაც ნახევარი თვისის მამულისა თურმე კონფეტში შეუჭამია, ერთი ჩვენშიაც ყოფილა, მაგრამ რამდენადაც გვარწმუნებენ ტფილისის რუსულ გაზეთების მუსიკის რეცენზენტები, ჯერ არც ერთი ოპერა არ დაუწერია.

◆

კორესპონდენცია.

სოფ. საგარეჯო. ყველამ კარგად იცის, რომ მევენახეობას ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ცხოვრების ერთ უპიველეს სალსარს. ნელ-ნელა ბოლო ელება და ერთ დროს შეიძლება სრულიად გამოვეთხოვოთ. ფილოქსერამ დასავლეთ საქართველოდგან დაიწყო, ქართლს გადმოატანა და დღეს თუ ხვალ იქნება კახეთშიაც მოსალოდნელი იყოს მისი გაჩენა. თუმცა ფილოქსერასთანა ზარალი სად შეუძლიან ობსა და ნაცარსა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, არც ეს აყრის ხეირს. ჩვენს სოფელში 900 დღიურამდე ვენახია, და მათში სინამდვილით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთი მესამედი მოგვცემს მოსავალს, ისე რომ არაყიც არ გამოიხდება. საშუალო რიცხვით დღიურზედ რომ ხუთი საპალნე ვიანგა- [illegible] თუმანი—მაშინ დავინახავთ, რომ წრეულს საგარეჯოს 120,000 მან. ზარალი მოსვლია. გლეხები მწარედ ილიმებიან და ამბობენ: ,,დალოცვილ ღმერთს, ამდენ პურთან ცოტა ღვინოც არის მოეყვანაო''. პურის მოსავალი წრეულს სანაქებოა; აი მეორე ნახევარია სექტემბრისა და ჯერ კიდევ ბევრს კალო უბია და ლეწავს.

აქაური მეკომურები ზოგიერთა წვრილ სამეურნეო საქმესაც მისდევენ: თრიმლსა ჰკრეფენ და ჰყიდიან ტფილისში და თელავში. თრიმლის საფქვავათ ექვსი წისქვილია გამართული იორზედ. კოდი თრიმლი 1—1 მან. 2 აბაზათ ისყიდება. თრიმლის გარდა სვიასაც ჰყიდიან; დაფურცლულისა და გამხმარ სვის ფურცელს ფუთს 4 მან. 5 დ 10 შაურათ ყიდულობენ მოსული ვაჭრები. აგრეთვე ძლიერ ეტანებიან ქალაქელი მეკარაქეები აქაურ ერთ ნაირს ბალახს ,,დუდლუბოს''—ყვითელი ბალახია, რომელიც მზლის ტოლა მარცვალს იბამს, როგორც აქაურებმა მიამბეს, ამას ძროხის ქონში ურევენ და ისე ჰყიდიან ქალაქშიო. გირვანქა ,,დუდლუბო'' აქ ისყიდება ერთ აბაზათ.

როგორც ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებში: ნორიოში, ხაშმში, პატარძეულში, აგრეთვე აქაც ვენახების გარდა სახნავ-სათესი მამულები გაუყოფელი აქვთ და საზოგადოდ მფლობელობენ, მაგრამ ეს საზოგადო მიწის მფლობელობა, როგორც ზემოხსენებულ სოფლებში, ისე აქაც, აწეწილ-დაწეწილია, და არცა-რა რიგი და არც წესი არა სუფევს. იმ თავით ამ თავამდე ასე ყოფილა და ასე არის ახლაც. საზოგადო მამული გაუცალკევებელია ნინო-წმინდისა და გიორგი-წმინდის მამულებიდგან. ამ ორი-სამი წლის წინად ვიღაც მიწის მზომელი მოუწვევიათ ამ სამივე სოფლების მიჯნების საჩვენებლად; საგარეჯოს გლეხ-კაცობას 100 მან. მიუცია. დანარჩენ სოფლებსაც ორთავეს 100 მან. და გაუმძღვარებიათ მინდვრისაკენ, რომელიც ივრის გაღმა, 15 ვერსის სიშორეზედ, იმყოფება. ქუდბედიანს მიწის მზომელს კარგი ილბალი მოსვლია, რადგანაც გლეხები [illegible] კებულან, იმას იქავე სიღნაღის გზის სადგურის აზამბურისთვის მიუმართავს და გასცლია ხელიდგან.

ეს სასარგებლო წესი მამულის მფლობელობისა დღეს სადავიდარაბოდ გამხდარა. მეზობელი მეზობელს ეჩხუბება და უბანი უბანს.

ზოგიერთა სოფლებივით, აქაც ყოფილა ,,გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა'' და ,,დეპო'', მაგრამ უდროოდ სული ამოხდომია. და ,,ბოლო ჟამს'' ,,ჩლენებს'' ქილები·ლა გაუყვიათ. დიაღ ასეთი ბედი მოსდის ყოველთვის იმგვარ საქმეებს, რომლებიც ულირსთ ჩაუვარდებათ ხოლმე ხელში!..

სოფელში თვრამეტამდე დუქანია სამიკიტნო და საწვრიმალო სხვაა. სამიკიტნოებში „შარმანკის“ ხმაც მუდამ ისმის. საზოგადოდ ყველგან სახელმწიფო გლეხები სხვა გლეხობაზედ კარგადა სცხოვრობენ, და აქ ხომ უკეთესად. დღეში შვიდი-რვა ცხვარი და თითო მაინც ძროხა იკვლება.

—

ს. ხაშმი. ს. ხაშმი ერთი მდიდარი სოფელთაგანია ტფილისის მაზრაში. აქაური ვენახები სანაქებოა. მაგრამ რა გამოვიდა, „ისევ ეს ვენახები გვლუპავსო“, ამბობს აქაური გლეხი, იმიტომაო, რომ ისე ოჯახი არ იქნება, ქალაქელი სირაჯის ვალი არ გვემართოს. ფული მოგვინდება თუ არა, ერთი-კი შევეხმიანოთ, და მაშინვე მოგვცემენ და საპალნეს 3 ან 4 თუმნად დაიკვეთენო. ნუ გვიყურებ ასე ვერცხლის ქამრები რომ გვარტყია მდიდრები ვიყოთ, არა, ვალი ყელში გვიჭერს მუდამაო“.

სოფელს ერთი მეტად კარგი საქმე დაუწყია: ამ ორი-სამი წლის წინად უყიდნია სასოფლოთ ზვარი და ჩინებული ვენახი გაუშენებიათ. სულ სამიოდ დესეტინა იქნება ცალიერიცა და ვაზით სავსეც. ცალიერ ადგილებში წრეულს ერთ-ნაირი ყანა ედგათ, რომელსაც აქაურები „პოშოლას“ ეძახიან. სოფელს წრეულს კარგი მოსავალი მოსდის პურისაცა და ღვინისაც, თუმცა ცოტათი დაინაცრა აქაც ვენახები.

ხაშმის მინდვრებზედ და ვენახებშიაც აუარებელი ძირ-ტკბილა დგას, მაგრამ სოფლელები არაფერში არ იყენებენ. ერთი უცხოელი ვაჭარი მოსულა აქეთ, დაუთვალიერებია ეს მინდვრები საგარეჯომდის და უთქვამს ხალხისთვის, ფუთი 2 აბაზათ მომითხარეთო, მაგრამ სოფელი არ დათანხმებულა, და ვაჭარი ისევ თავისს გზას გასდგომია.

სოფელს რამდენიმე შესმენილი ყმაწვილ-კაცობა ჰყავს, რომლებსაც განუზრახავთ ბიბლიოთეკის დაარსება და წიგნებიც ბლომად შეუკრებიათ.

მზე-ჭაბუკი.

◆

აჭარის გათათრება

ეს მღვდელი ქედის დიდს ეკკლესიაში დადიოდა, იქ ზარს რეკავდა ოთხი-ხუთი სოფლის ხალხს ლოცვაზე იხმობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ თათრობა ქედაშიაც შემოვიდა; ახალ გათათრებულ ქართველთ კაკაბაძე მღვდლისა ძლიერ ეშინოდათ და თათრობას ჩუმად ინახავდნენ. გავლო რამდენმამე ხანმა და ამათ ჯამეს კეთება მოინდომეს, მაგრამ კეთებას ვერ ბედავდნენ, კაკაბაძე მღვდლის შიში ჰქონდათ.

ოსმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ თქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთ, რადგანაც სახელმწიფოსთვის ეს საჭიროაო. მალე სტამბოლიდამ გამოგზავნეს მასწავლებელი ხოჯები და ქართველ ყმაწვილებს მხოლოდ სწავლება დააწყებინეს თათრული ენის და წერა-კითხვისა. კაკაბაძე ღვდელი რომ მოსულა, შორიდგანვე შეუხედნია ეკკლესიისაკენ და ეკკლესია დაქცეული უნახავს, ეკკლესიის გვერდით-კი უცბად დადგმული ხის ჯამე. კაკაბაძე მღვდელს გულს შემოყრია. ტირილი დაუწყია და უთქვამს:

— ვაი მე, ახლა-კი დაეცა აჭარაო.

ბევრი უწუხნია, ხალხშიაც ბევრს ცდილა, რომ ქრისტიანობა არ დაცემულიყო, მაგრამ ველარა მოუხერხებია-რა. ბოლოს საქმე იქამდის მისვლია ამას, რომ სოფ. ორცოდგან გაქცეულა და ჩაქვისაკენ წასულა, რადგანაც ჩაქვას იქითა მხარე იმ დროს საქართველოს ეკავა და იქ ისევ ქრისტიანი ქართველები იყვნენო. კაკაბაძეს ცოლ-შვილი-კი ორცვამი დარჩნენ და მღვდელს ალარავინ დაანება. ესენი ოსმალოს მთავრობამ გამოიკითხა და კაკაბაძე მღვდლის შვილებს ქეშიშოღლი უწოდეს და ერთ შვილს თათრული წერა-კითხვა დაასწავლეს და მალე მოლობაც მისცეს, რადგანაც მამაშენი ქეშიში (მღვდელი) იყოო, ნიშნათ ამ დღის შემ-

რედ წოდებული ლურსმებრივი წარწერები და თავისი ნაფიქრი მრავლად ამოუჭრია ვანის კლდეებზედ მე-9—7 საუკუნეში ქრ. წინად, და აგრეთვე შემდეგაც მოუგონია აწინდელი ნიშნები ასოები (ანბანი) და დაუარსებია თავისს ენაზედ უმდიდრესი ლიტერატურა, მაინც, ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ჩვენში დაშთენილია მრავალი კუთხე, საცა ამირანისებურად და ხელ-უხლებლად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა, აუარებელი საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანი, სამცხე, ქიზიყი და კაკ-ელისენ-ჭარი*) და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იხმარება და საერთოდ-კი აღარაა. საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევისწავლოთ, ავნუსხოთ და ეს ამირანისა დარი შრომა რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდდება, ხოლო ენა·მჟეობაც ჩვენის ენისა იმატებს, უფრო გაბრწყინდება და შარავანდედით შეიმოსება.

როგორ უნდა შესრულდეს და ვინ უნდა ითავოს ეს დიდი და დიადი საქმე?

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმეში უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვით, წერა-კითხვის საზოგადოებას არ ექნება არც შეძლება და არც მატერიალური ძალა გაუძლვეს ამ ძნელად შესასრულებელ საქმესაო. მართალია, არ ექნება არც ძალა და არც შეძლება, რასაკვირველია, თუ დავივიწყეთ, რომ ამ საქველ-მოქმედო საფუძველზედ დამყარებულ საზოგადოებას დამხმარებელნიც ქველ-მოქმედნი უნდა ჰყავდეს. განა ცოტანი არიან საქართველოს კუთხეებში განათლებულნი და მამულისათვის თავ-განწირულნი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექსიკონი და მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილა მათს სამშობლოში და საზოგადო ლექსიკონში-კი არ არის! ყველგან საქართველოში გვეგულებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეს გული დაუდონ და ნება·ნება, ახალ-ახალ სიტყვა-ფრაზების მოგონებისა და-გვარად ჩასწერონ თავიანთებური სიტყვები ცალკე რვეულებში და მერე გამოუგზავნონ წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც ყველა მისდამი გამოგზავნილ მასალას შესაფერ ადგილს მიუჩენს ლექსიკონის დასტამბვის დროს. თუ რა ფასი აქვს ამგვარს შრომას, ესა სჩანს თუნდა იქიდგან, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ პროვინციალურ სიტყვების ჩამწერლებს ყოველ ახალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია ორ-ორი შაური! მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ—თუნდაც წერა-კითხვის საზოგადოებას შეძლებაც ჰქონდეს,—აღნიშნული ღვაწლი ისეთი წმიდაა, რომ ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა უსასყიდლოდ დაეხმაროს საშობლო სიტყვიერებას და მიჰბაძოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სუნნელებას თაფლად აქცევს და მერე თავის ნაყოფით თითონაც სარგებლობს, კაცსაც უტკბარუნებს პირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს.

კაკ-ელისენში მე ჩავწერე 600-მდე სიტყვა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, იმ სახითვე და იმავე მნიშვნელობით, როგორც დღეს, ხმარებაში ყოფილა მოსე ხონელისა, შოთა რუსთაველისა, გიორგი მთაწმინდელისა და სხვა მწერლების დროს. ამგვარადვე 200-მდე სიტყვა ჩაუწერია ქართლში გ. ივერიელს, აგრეთვე საკმაოდ ბევრი სიტყვები ვინმე მესხს სამცხეში. რაზიკაშვილისა, გ. წერეთლისა, ბ-ნ ნიჟარაძისა, მაჩხანელისა და ნინოშვილის ნაწერებიც სავსეა მრავალგვარ ადგილობრივ სიტყვებით, რომელთა ხსენებაც არ არის ჩუბინაშვილის ლექსიკონში. ახლა იფიქრეთ, რამდენი სიტყვაცნობით გამდიდრდება ჩვენი ლექსიკონი, თუ მთელი გუნდი მუშაკთა სისტემატიურად შეუდგება მუშაობას და დაკარგულ საუნჯეთა მოკრებას.

კერძოდ მით უფრო საჭიროა განბნეულ სიტყვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი გაწდეგილთა და გარეწართა. ეს წინდაუხედავნი, იპოვიან-რა თავისს კუნჭულში ასიოდ ადგილობრივ სიტყვა რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, ყვირიან: „არიქათ! აი სად ყოფილა ახალი ენაო! ჩვენ თურმე სხვა ენა გვქონია“ და სხ.

იმედია, ხმა ჩვენი არ დაემზგავსებ ხმასა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და წერა-კითხვის საზოგადოება დროით შეუდგება მიმობნეულ მარგალიტების შემოკრებას და წყობილად შეკონვას. საჭიროა მხოლოდ ამ საზოგადოებამ თავისი სურვილი გამოაცხადოს და დამხმარებელნი, უეჭველია, ბევრნი აღმოჩნდებიან და ვისაც ასხია ყურნი სმენად, ისმენენ.

მ. ჯანაშვილი.

---

*) ასრე უწოდებენ ზაქათალის მაზრას ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის-ცხოვრება და სხ. თვით ადგილობრივნი მკვიდრნიც თავისს თავს ეძახიან ქართველებს, ხოლო ენას ქართულს. ინგილო თათრული სიტყვაა და ურიგო არ იქნება ამ ქვეყანას საინგილოს მაგიერ ვუწოდოთ კაკ-ელისენ-ჭარი.

დეგ ამ სოფლის მღვდლობა თქვენი გვარის კაცებს ეკავოთო. მას შემდეგ ასეც არის და ორცვაში ხოჯა-მოლლობა ყოველთვის ქეშიშ-ოღლებს უკავიათო. ამ მღვდლის შემდეგ-კი აჭარაში თათრობა ერთობ მალე წავიდა, მხოლოდ მოხუცებულებს-კი არ ათათრებდნენ და ქართველ ქალებსაც ხმას არა სცემდნენ, ქართველ ქალებში თათრობა სულ სხვა ნაირებრ შეუტანიათო.

გათათრების შემდეგ აჭარის ქართველებში მევენახობა ამოვარდნილაო. ამბობდნენ ხოლმე, რომ მთელი აჭარა სულ ვენახებად იყო გარდაქცეული და სოფლიდამ სოფლამდის სულ ვენახებით იყო დაფარულიო. ზოგნი-კი ამბობენ, რომ ვენახები ვითომც ქართველებში სპარსელებმა მოსპეს და ამათ შემდეგ რაკი აჭარა ოსმალთ აიღეს, მისშემდეგ აქ ქართველებმა ვაზის გაშენება ვეღარ გაბედეს, რადგანაც ოსმალეთიც უშლიდა ამასაო. შემდეგ და შემდეგ ოსმალოს ხოჯებმა ქართველებში დაიწყეს ქართულის ენის მოსპობის შესახებ ქადაგება, რომ მუსლიმანი კაცი ქართულს ენაზედ არ უნდა ლაპარაკობდესო. მაგრამ ამათ ენა-კი ვერ მოსპეს და რაც ქართული ძველი წიგნები იყო, ესენი-კი სულ ცეცხლში დააწვევინეს, რადგანაც ესენი ხალხს ეუბნებოდნენ, რომ სახლში ქართულის წიგნების შენახვა ჩვენის სჯულის წინააღმდეგიაო. ხალხს არაფერი ესმოდა, მოლებს უჯერებდნენ და ბევრს ძვირფასს ქაღალდებს სწვავდნენ. ასეთი ქაღალდები თვით ჩვენს ძველებსაც დაუწვავთო.

მე მახსოვს, რომ აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავებისაგან ჩასაცმელ ჩუსტებს აკეთებდნენ, ქალამნებს, პატარა გუდებს და სხვა-და-სხვა რამეებს აკრავდნენ ზევიდგანაო. ზოგიერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოვიდოდაო.

ხოჯებისა და მოლების ასეთი ქადაგების მეოხება იყოო, რომ ამ თხუთმეტის წლის წინად აჭარის ორს სოფელშიაც დაუწვავთ ქართული წიგნები, სახელდობრ: ხერთვისსა და კაპნის თავშიო.

ზ. ჭ.

შემდეგი იქნება.

წმ. თევდორეს ეკლესია ს. ძველ-გავაზში.

დილა ადრიანად ყველანი ერთად გავედით ძველი გავაზიდგან. წმ. თევდორეს ეკლესია ათი ვერსით არის დაშორებული ძველგავაზზედ, ხშირსა და დაბურულს ტყეში. შორით-ხევს გავა თუ არა კაცი, ვიდრე ეკლესიამდე, სულ მშვენიერი დაბურული ტყით მიდის გზა. ეს ეკლესია სწორედ შესამჩნევია ამ დაბურულს ტყეში. თავისის სიდიდით და შეხედულობით ეს ჩინებული ნაშთი ჩვენის დიდებისა დღეს თავ-მინებებულია და ღამურეებისა და ნადირის ბუდეთ გამხდარა. მთელი ეკლესია ისეა დათხრილი ნადირის სოროებისაგან, რომ ერთი ბეწო ალაგი არ არის, რომ თავისუფლად დადგეს კაცი და გასინჯოს შიგნით ეკლესია. ამასთან ისეთი საშინელი სუნი დგას მთელს ეკლესიაში, რომ ყოვლად შეუძლებელია კაცი ათ წამზედ მეტს გაჩერდეს შიგნით. ან რა გასაკვირველია, როდესაც მუხლამდის შეურევს კაცი ნადირისა და ღამურეების უწმინდურებაში.

ეს ტაძარი უგუმბათოა, უბრალო ქვით ნაშენი, ხოლო ზევით მთელი თაღი და წინ გუმბათი აგურით არის გაკეთებული, სიგრძე აქვს 36 არშინნახევარი და სიგანე ოც-და-ოთხი არშინი. წინ აღმოსავლეთით აქვს მიშენებული გუმბათი მშვენიერის რვა მოგრძო ვიწრო ფანჯრებით. გუმბათს გარედგან ქვითკირის ოც-საფეხურიანი კიბე აქვს მიშენებული. გუმბათის სიგანე ცხრა არშინი არის, სიმაღლით-კი გუმბათი და თვით ეკლესია თანასწორია,—ორივეს თვრამეტი არშინი აქვს სიმაღლე.

შიგნით ეს ეკლესია გალესილია სუფთად, მხოლოდ არ ეტყობა რა ფერია, რადგან ახლო გარეშემო ხშირი ხეები აქვს და ფანჯრებზედაც ვაზი არის გადასული. კანკელი ქვითკირისა აქვს, როგორც სიონის ტაძარს. ორის კარებით: აღსავლისა და მარცხნივ ტრაპეზში შესასვლელი. ზევით კანკელის პირ-და-პირ თაღში დატანებული აქვს პატარა ქოცოები (ქურები) ხმის გულისათვის რეზონანსისათვის—და მართლაც ძალიან ხმის გამომცემი ეკლესია არის.

ეკლესია მშვენივრად შენახულა: არსად არის გარღვეული და არსაიდგან წვიმა არ ჩადის. დასავლეთით ამ ეკლესიას აქვს მთელ სიგანეზედ კარი-ბჭე სწორედ ისე, როგორც მცხეთისა და ალავერდის ტაძრებს. დახურულია მთელი ეკლესია ლამფინით (ძველებური პრტყელი კრამიტია). ეს ეკლესია, როგორც ეტყობა, ძალიან ძველი უნდა იყოს, რადგან ზედ თაღზედ არის ამოსული: იფანი, ნაკერჩხალი, ხე-შავა, ლაფანი, თხილი, ბზა და გარეშემო მთელ თაღზედ და შუა წელამდე ეკლესია ვაზით არის შემოკრული. საკვირველია, რომ ამოდენა ეკლესიას ერთი კაცის სისქე დედა ვაზი დაჰპატრონებია და ისე ჩასჭიდებია გარეშემო, თითქოს გამექცევაო საკურთხევლის თავზედ გადასულ თაღში შიგნიდგან სჩანს პატარა კარები.

თვით ეკლესია, როგორც ზევით ვსთქვით, წმ. თევდორეს სახელზედ არის აშენებული, ხოლო გარედგან მიშენებული აქვს სამი პატარა ეკლესია, ერთი მარცხნივ დასავლეთით ღვთის-მშობლისა და ორიც აღმოსავლეთით.

ერთმა ღრმად მოხუცებულმა ძველ გავაზში მიამბო, რომ ამ ოც-და-ათის წლის წინ მე თვითონ ვნახე, რომ ერთმა ქვემო-გავაზელმა კაცმა ჰგვის ურემს დაუდო და წაიღო თევდორეს ეკლესიიდგან მოზრდილი ოთხ-კუთხი ქვაო,—სახლის კედელში დავატან და აღარაფერი ჭირი აღარ მოედება ჩემ სახლსაო. ქვა სულ დაწერილი იყო და აბა მე წიგნი არ ვიცი და რა ვიცი რა ეწერაო. ქვემო-გავაზაშიაც ვიკითხე, მაგრამ ამ ქვისა ვერა შევიტყე-რა. ეკლესიაში მე რამდენიმე ადამიანის ძვლები ვნახე ფოცხვერებისა და ტურებისაგან ამოყრილი; ამას გარდა ეკლესიას აქვს შორიდგანვე გარეშემო ორი თხრილი, ერთი უფრო ღრმაა, ხოლო მეორე დაბალი. პირველ თხრილს ორი ვერსი ექნება ირგვლივ, მეორეს სამი.

იქნება ლეკებთან შეტაკების დროს არის გათხრილი? აქვე ახლოს ამ ეკლესიას ჩამოუდის კარგა მოზრდილი წყალი—ინაზოტი და აღმოსავლეთით პატარა ფშანი. ეტყობა, აქ წინედ სოფელი ყოფილა, რადგან იქვე ახლო ხშირია შინაური კაკლისა და ბჟოლის ხეები და ქვითკირის ნანგრევებიცა სჩანს.

ამ ეკლესიიდგან ათ ვერსზედ არის თურმე კიდევ ორი შესანიშნავი ეკლესია: ერთი მთლად დედამიწაშია ჩამჯდარი, ასე რომ დაჩოქილი თუ შევა კაცი, თორემ ისე შეუძლებელია შიგ შესვლა. ამბობენ, შიგნით ალაგ-ალაგ ნახატია ეკლესიაო. მეორე ეკლესია-კი, თუმცა დიდი არ არის, მაგრამ მთლად ნახატია და წარწერებით სავსეაო.

ბოლოს მადლობა უნდა გადვუხადო ძველ-გავაზის მემამულე კირილე ანდრიაშვილს და ამ სოფლის პრიჩეტნიკს დ. კურხულს, რომელთაც წამიყვანეს და მაჩვენეს ეს შესანიშნავი ძეგლი.

ზ. ჩხიკვაძე,

რუსეთის ცხოვრება.

—

საფრანგეთის მთავრობამ მიიწვია რუსეთის ვარსკვლავთ-მრიცხველნი იმ საერთაშორისო კონგრესზედ დასასწრებლად, რომელიც მომავალს წელს შესდგება პარისში.

—

როგორც გაზ. „ნოვ. ვრ."-ს შეუტყვია, რუსეთის სამთო ინჟენერის საზღვარ-გარეთ გაგზავნას იქაურ სამადნეულო წყლების შესასწავლად ის აზრი აქვს, რომ იხელმძღვანელონ ნახულ-შესწავლილით კავკასიისა და მთლად რუსეთის სამადნეულო წყლების განზრახულ რეფორმისათვისაო.

—

როგორც გაზ. „ნოვოე ვრემია" იუწყება, ამურის მხარეში შესანიშნავის სისწრაფით ვრცელდება თურმე ბაპტისტთა სწავლა. ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის სახელობაზედ დაარსებული ძმობა ვერაფერს ხდება სწავლის გამავრცელებლებთან. მქადაგებელი ამ სწავლისა ვინმე დელაკოვია თურმე, რომელიც მესოპოტამიაში დაბადებულა, შემდეგ გადმოსულა რუსეთში და მოლოკნებსა და შტუნდისტებს შეერთებია ვიდრე ბაპტისტი გახდებოდა. ეს სწავლა ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოლოკნებს შორის ვრცელდებაო, ამბობს გაზეთი.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. საერო განათლების კონგრესი, რომელიც ბორდოში შესდგა, შემდეგს დასკვნას დაადგა: „აუცილებლად საჭიროა სკოლის მოქმედება გაძლიერდეს და შეივსოს მარტო ცოდნით-კი არა, არამედ სკოლა უნდა სცდილობდეს რაც შეიძლება განუვითაროს ხასიათი ახალგაზდობას. თვითოეულის მამულიშვილის მოვალეობაა ხელი შეუწყოს სახალხო განათლების საქმეს, საფრანგეთის ახალგაზდობაში გააბნიოს ისეთი პირნი, რომელნიც თავისის სამაგალითო ზნეობით განავითარებენ, გააფაქიზებენ მათს ზნეობას. ამ საგანს წინ წამწევად საზოგადო მოვალეობათა შეგნება აქვს უთუოდ, ხოლო აუცილებელი პირობა მისის შესრულებისათვის თავისუფლებაა".

რაც შეეხება იმასა, თუ როგორ შეიძლება ამ განზრახულის აზრის განხორციელება, ამის შესახებ კონგრესმა დაადგინა: „რომ სკოლაში რიგზედ დაიარებოდნენ, საჭიროა თვით სკოლაში თუ მის გარეშე დაარსებულ იქმნას ურთიერთთა შორის დამხმარებელი საზოგადოებანი და ზნეობრივად მხრის დაჭერა (სასკოლო ყავახნები, სასკოლო სამზრუნველოები, სასკოლო ახალშენები, მოგზაურობანი და სხვანი). ხოლო იმისათვის, რომ ბავშვები საზოგადო ცხოვრებას მიეჩვივნენ, საჭიროა დაარსებულ იქმნას მათთვის სათამაშოთა, სავარჯიშოთა და ურთიერთთა დამხმარებელი ასოციაციები. მაგრამ საჭიროა სკოლის შემდეგაც არ დაირღვეს ეს კავშირი; ამ აზრით მათ უნდა მიეცეთ შეძლება შისწავლონ რაიმე ხელობა, მიეცეთ თავისუფალ დროს საშუალება განვითარდნენ გონებით, შეეძლოთ თავი სასარგებლო რასმე გაართონ, დაისვენონ და სხვანი (ამისთვის უნდა ჰქონდეთ ბიბლიოთეკები, კონფერენციები, სატეხნიკო და საზოგადო კურსები); ყველა ეს ახალგაზდობის კლუბში უნდა იმყოფებოდეს. კონგრესის მიერ განზრახულის აზრის შესასრულებლად საჭიროა შემწეობა და დახმარება სასკოლო კომისიების წევრთა, საოლქო დელეგატებისა, მუნიციპალიტეტებისა, მშობლებისა, მდიდრებისა და ღარიბებისა, ერთი სიტყვით, ყველასი, ვისაც-კი შეუძლია საქმეს ან ფულით ან მოქმედებით დაეხმაროს. ამ საქმეში დაინტერესებულნი უნდა იყვნენ სამრეწველო სახლების პატრონები, დიდი და პატარა მამულის პატრონები, მუშათა ამხანაგობანი და სხვანი. ყველა დასახელებულ პირთა დახმარებით სახალხო-განათლების ლიგას ჰსურს მთელს საფრანგეთში გაავრცელოს თავისი მოქმედება, რომ ამით განახორციელოს აღნიშნული აზრი. ლიგა ყოველთვის გაუზიარებს პროვინციებში მყოფთ თავისს აზრს, თუ როგორ უნდა მოქმედებდნენ იგინი; ამისთვის ხშირად კონგრესებიც შესდგება ხოლმე".

უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ამერიკის შეერთებულ შტატებში შესდგა ერთი საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს გააუქმოს მეტის-მეტი ხარჯი დასაფლავებაზედ. ამ აზრით ყოველს ქალაქში მათ დააარსეს საკუთარი ბიურო. რაწამს შეიტყობენ თავისის საზოგადოების რომელისამე წევრის გარდაცვალებას, მაშინვე მივლენ დანიშნულს ადგილს, ჩასწერენ საგანგებოდ დამზადებულს ქაღალდში თავისს გვარსა და სახელს და გადასცემენ მიცვალებულის სახლობას. ეს წერილი ინახება, ნიშნად პატივის ცემისა მიცვალებულისა მის მეგობართაგან. ამასთანავე იკრიბება ფული, რომლიდამაც მესამედი მიცვალებულის დასაფლავებას ხმარდება და ორი მესამედი საქველ-მოქმედო საქმეებზედ იხარჯება. პირველი წლის საზოგადოების ანგარიშიდამ სჩანს, რომ თავისის დაარსებიდამ შეუგროვებია 52,000 მანეთი. აქედამ 32,000 მანეთი დახარჯულა საქველ-მოქმედო საქმეზედ.

დაქირავებული ჭირისუფალი ამერიკაში.

ამ ჟამად ამერიკაში შემოღებულია, რომ მოტირლები დაიქირავონ ხოლმე მიცვალებულის გასვენების დღეს. „სან-ფრანცისკელ მომტირალ ქალის შესახებ შემდეგს მოგვითხრობენ გაზეთები: ერთხელაო,—სწერს გაზეთის კორესპონდენტი, ერთს ქალს შევხვდი, რომელმაც მწუხარე სახით ოდნავ გამიღიმა. მერე, როცა ვკითხე, რომ ეთქვა ჩემთვის თუ რა ხელობისა იყო, მან მიპასუხა: ჩემი ხელობა ისეთია, რომ ყველასათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩემი მიწვევა. თქვენ ხომ იცით, რა ძნელია, რომ კაცმა თავისი მწუხარება გამოსთქვას! ეს გასაჭირია სცენაზედ მოთამაშეთათვისაც-კი და წარმოიდგინეთ, რა იქმნება ჭირისუფლისათვის თავისის გოდების გამოთქმა. მე-კი ასეთს დროს მიმიწვევენ ხოლმე და ჩემს მოთქმა-ვაებაზედ მთელი დამსწრე საზოგადოება ცრემლად იღვრება. ყოველს ჭირისუფალს უნდა, რომ მისს მიცვალებულს გულ-მდუღარედ დასტიროდეს ყველა, მაგრამ ეს არ ხერხდება, რადგან ან ჭირისუფალს არა აქვს იმისი შნო, რომ მისმა სიტყვებმა სხვებსაც გული აუდუღოს და ან მიცვალებული არ არის სატირალი. აი, ამ დღეებშიაც მოკვდა ერთი მდიდარი კაცი, რომელმაც დიდ-ძალი ფული შესწირა საზოგადო საქმეს, მაგრამ სიყვარულით-კი მაინც ისე არავის უყვარდა, რომ ცრემლით დაევლტო იმისი ცხედარი. მე დამიქირავეს იმის გასვენების დროს და ისეთ ნაირად მოვაჯადოვე დამსწრე საზოგადოება ჩემის მოთქმით, რომ ყველა მდუღარე ცრემლით სტიროდა იმას.

— რამდენად ღირს თითო შენი მიწვევა-მეთქი, ვკითხე მე.

— ეს იმაზედ გააჩნია, ვინ როგორი სატირალია,—თუ უბრალოდ სატირალია ვინმე—ათს დოლარს ვიღებ, თუ უფრო მეტი—15 და თუ ისეთი ვინმეა, რომ ყოველი ჩემი ძალ-ღონე უნდა გამოვიჩინო: თმის გლეჯა, მოთქმა, გულის შეწუხება, კუბოზედ თავის რტყმევა და სხვა, მაშინ-კი ოცი დოლარი უნდა მომცენო, მიპასუხა მომტირალმა:

— კიდევ არიან სხვები მაგ ხელობის მიმდევარნი?

— არიან, მაგრამ ჩემსავით ვერ ახერხებენ! კაცებიც-კი მისდევენ ამ ხელობას, მაგრამ არც იმათ ეხერხებათ, რადგან კაცი გულ-ქვაა და ქალსავით არ შეუძლია ცრემლის ნაკადული გარდმოსთხიოს, და ხალხს ხომ ცრემლის დანახვა უჩჩვილებს გულს!.. არა, იმედი მაქვს, რომ მამაკაცები მეტოქეობას ვერ გაგვიწევენო, დაუმატა „განგებ მომტირალმა" ქალმა".

ეტყობა ძალიან გაუკვირვებია სან-ფრანცისკოში ზნე-ჩვეულებას კორესპონდენტი. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენში რომ ჩამოსულიყო, უფრო საკვირველს ამბავსაც ნახავდა. იქ განგებ ამ ხელობის მიმდევარნი მაინც ყოფილან და აქ-კი ზოგიერთს ტომებში, მონოზნები ასრულებენ ამერიკელ „მომტირალ" ქალთა ხელობას და სწორედ ისევე გონორარით, თუმცა, რასაკვირველია, ოც-ოც დოლარს არ იღებენ.

თეატრის მატიანე.

—

24 ამ თვეს, კვირას, გაიხსნა ქართული თეატრის სეზონი. წარმოადგინეს დ. ერისთავისაგან გადმოკეთებული დრამა სარდუსი—„სამშობლო".

ამ დრამას აგერ 13 წელიწადია თამაშობენ ქართულ სცენაზედ

და ყოველთვის დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზედ. ხოლო ეს გავლენა იმიტომ-კი არა აქვს დრამას, რომ ყოველის ღირსებით სავსე იყოს იგი და ხელოვნება ავტორისა უნაკლულო. ცხადია, მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება დღესაც ისე აღტაცებით ეგებება ამ პიესას, როგორც 13 წლის წინად, არის—თვით შინაარსი დრამისა—სამშობლოს სიყვარული, მისთვის ზრუნვა და მისთვისავე თავის განწირვა. ეს ისეთი ძლიერი ძარღვია ადამიანის სულისა, რომელსაც სანამდე ადამიანს ექნება მცირეოდენი ნიჭი გაარჩიოს კეთილი და ბოროტი, სინათლე და სიბნელე, უმაღლესი და უკეთილშობილესი მამულის სიყვარულის გრძნობა დ ეუწმინდური ანგარი, სულ-მდაბალი თავმოყვარეობა, მანამდე ასეთის შინაარსის ხელოვნებას ყოველთვის ექნება ფასი.

თეატრის გამგეობამ ყოველი ღონე იხმარა, რომ რაც შესაძლებელი იყო საუკეთესოდ შეეხამებინა როლები არტისტებისათვის. ორი როლი—ფაიხოშისა და ლევან ხიმშიაშვილის ათამაშა ქუთაისიდგან მოწვეულ არტისტებს—ქბ. ნინო ჩხეიძის ასულს და ბ. კოტე მესხს.

ფაქიზი, უმანკო და ავადმყოფი ასული სპარსეთის უგულო მპყრობელისა მშვენიერად დაგვიხატა ჩხეიძის ასულმა: ნაზი და მშვენიერი სახე, თავ-დაჭერილი მიმოხვრა და მომხიბლავი ხმა ახალგაზდა ქალისა, ყოველი ესე ამკობდა სპარსეთის ყეენის ქალს და იზიდავდა მაყურებელთა სიმპატიას არტისტი-ქალის მიმართ.

უეჭველია ქბ. ჩხეიძის ასული ძვირფას და ახლად გაშლილ ყვავილად უნდა ჩაითვალოს ჩვენის თეატრის თაიგულში, რომელიც მართალი რომ ვსთქვათ, გვარიანად შემჭკნარია.

ბ. კოტე მესხს ტფილისი კარგად იცნობს; ხოლო რაც შეეხება ლევან ხიმშიაშვილის როლის მიცემას ამ არტისტისათვის, ჩვენის აზრით—ეს დიდი შეცდომა უნდა იყოს.

ჩვენ ძვირად გამოგვიცდია, რომ კოტე მესხის თამაშს ოდესმე შევეწუხებინოთ, არტისტი ისე არასოდეს არ წაახდენს როლს, რომ მაყურებელს საყვედური ათქმევინოს. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ისაა, რომ ბ-ნი მესხი ძლიან მუყაითი და ბეჯითი არტისტია და ალალბედზედ გამოსვლა სცენაზედ არ უყვარს.

მაგრამ პირველს ოთხ მოქმედებაში ბ-ნი მესხი ნათლადა სჩანდა ვერ ჰგრძნობდა თავისს თავს შესაფერს მდგომარეობაში. თეატრის გამგეობამ უნდა იცოდეს, რომ შეყვარებულისა და არშიყის კაცების როლი ბ. მესხის ბუნების საქმე არ არის და როდესაც თითონ არტისტზედ ყოფილა დამოკიდებული როლის გამორჩევა, იგი ამგვარს როლებს გაურბის.

სამაგიეროდ, უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც ლევანის კეთილ-შობილური გრძნობა შეურაცხყოფილია ქეთევანის ღალატით, როდესაც ეს გმირი ყმაწვილი კაცი ითმენს უსამართლო ბრალდებას თავისს ამხანაგთან, რომ იგი სამშობლოს მოღალატეა, იუდაა, მაშინ არტისტი შეუდარებელი იყო. მთელი თეატრის დარბაზი სრულიად დაიმორჩილა იმისმა ძლიერმა სულის მღელვარებამ, იმისმა საშინელმა რისხვამ!

საბრალო ქეთევანი, სიყვარულისაგან დარეტიანებული ტყუილად სცდილობდა სცენაზედ სირბილით თავი დაეღწია იმ სასჯელს, რომელიც მას მოელოდა!

ეს მომენტი სავსეა ტრაგიზმით, იგი მოგვაგონებს ოტელოსაგან დეზდემონას მოკვლას, თუმცა სულ სხვა მოტივით და რომ ქბ. ავალიშვილისას შესძლებოდა შეეგნო თავისი როლი უნაკლულოდ, მეხუთე მოქმედება სავსებით გამოისყიდდა მთელის წარმოდგენის ნაკლულევანებას.

ქბ. ავალიშვილის თამაშზედ ახალი დღეს რა უნდა ითქვას! ეს არტისტი ქალი, ეტყობოდა, მონდომებული იყო საუკეთესოდ შეესრულებინა თავისი როლი. ამას გარდა, პატივცემულს მანდილოსანს შევნიშნეთ, რომ უზომოდ ფაცა-ფუცი და სირბილი შეჰქმნა სცენაზედ, რომელიც, უთუოდ, არტისტის აზრით, აღშფოთებული სულის მოძრაობის გამომსახველი უნდა ყოფილიყოს?—ეს შეცდომაა და საეჭვოა რომ გრძნობა მხოლოდ სირბილითა და კივილით გამოიხატებოდეს?

ბ-ნი კოტე ყიფიანი ბევრად უკეთესად გვეჩვენა ეხლა, ვიდრე წარსულ წლებში. უფრო ფხიზლად და შეგნებულად ჩაატარა სიმონის როლი. ხოლო რაც შეეხება დეკლამაციას, როდესაც დროშა უჭირავს ხელში, ამ დეკლამაციაში გამოჩნდა უფრო თვალ-საჩინო არა ქართული აკცენტი არტისტისა.

თითონ მიზეზი ამდენის სისხლის ღვრისა, ირანის მბრძანებელი შახ-აბაზი, ჩინებულად წარმოგვიდგინა ბ-ნმა ვ. აბაშიძემ. იგი ყოველთვის კარგია! მაგრამ უდიდესი ღირსება ამ არტისტისა—იმისი ჭეშმარიტი კომიკური ნიჭი, უშლის ვ. აბაშიძეს დრამებში ითამაშოს, რადგანაც ვ. აბაშიძე სცენაზედ და კომიზმი სინონიმები არიან.

შეთქმულნი მამულისშვილნი საწამებლად და სასიკვდილოდ მიჰყავთ, შაჰიც-კი უფრთხის ამ საზარელ სურათს და ზურგ შებრუნებული სდგას, რომ თავისს მსხვერპლებს არ შეჰხედოს, მაგრამ წარმოიდგინეთ ამ საშინელ დროსაც-კი ღიმილი მოსდიოდა საზოგადოებას, როდესაც ხმალდაბჯენილ შახ-აბაზ—აბაშიძეს უყურებდა! ასეთი თვისება აქვს ამ არტისტის კომიკურ ნიჭს.

რაც შეეხება კოსტუმებს, ყეენის ამალას და სცენის მოწყობილებას, ყოველი ეს სუსტი იყო. თუ-კი თეატრის გამგეობას რაიმე ღონე მოეპოვება, კარგს იზამს, რომ ამ გარემოებას მიაქცევდეს ყურადღებას სასხომინდლოდ.

თეატრი თითქმის სავსე იყო.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 სექტემბერი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ი იუწყება, რომ გზათა სამინისტროს გამგემ დაამტკიცა პროექტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას აშენებული ნავთ-სადგურები ტუაპსესა და სოჩაში.

„ნოვოსტი“ იუწყება ყაზანიდგან დეპეშით, რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინეს თხოვნა 18 პროფესორმა,—რათა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ყაზანში ამ მომავალის წლის იანვარში უმაღლესი საქალებო კურსები იქმნას დაარსებული; ამ კურსებზედ სისტემატიურად უკითხავენ ლექციებს ისტორია-ფილოლოგიიდგანა და ბუნების მეტყველებისა და მათემატიკიდგან. კურსი სამის წლისა იქნება. გარდასახადი ფული 50 მან. ლათინური ენა ყველასათვის სავალდებულო იქნება, ახალს ენებს-კი სურვილისამებრ შეისწავლიან. ვიდრე კურსებს სამინისტრო მიიღებდეს თავისს გამგეობის ქვეშ, კურსებისათვის დაარსებული იქნება საპედაგოგო საბჭოს ადმინისტრაცია. ლექციებს წაიკითხავენ ან უნივერსიტეტსა და ან ქსენიას საქალებო გიმნაზიაში.

პარიზი. 23 სექტემბერს დაასაფლავეს პასტერი. სამგლოვიარო კორტეჟი პასტერის ინსტიტუტიდგან ღვთის მშობლის ტაძრისაკენ წარემართა. მხედრობას წინამძღოლობდა გენერალი სოსიე. სამგლოვიარო ეტლის წინ მრავალი გვირგვინები მიჰქონდათ, რომელთა შორის ზოგი საზღვარ გარეთიდგანაც იყო გამოგზავნილი. ეტლს უკან მისდევდნენ განსვენებულის ნათესავნი, მინისტრნი, პარლამენტის წევრნი და მრავალი დეპუტაციები. გზა სულ მთლად გაჭედილი იყო აქეთ-იქით მხარეზედ ხალხით. წირვას დაესწრნენ: დიდი მთავარი კოსტანტინე კოსტანტინეს ძე, საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოზი, რესპუბლიკის პრეზიდენტი, თავადი ლობანოვი და სადიპლომატო კორპუსი. ტაძარში პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაასახელა გამოჩენილის სწავლულის დიდი სამსახური. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფეხზედ დგომით მოისმინა პუანკარეს სიტყვა. პრეზიდენტის მარჯვნივ იდგა დიდი მთავარი კოსტანტინე კოსტანტინეს ძე, მარცხნივ საბერძნეთის მეფის ძე.

პარიზი. ფორმა ვიზიტი გადაუხადა პორტუგალიის მეფესა და მივიდა სანახავად დიდ მთავარ კოსტანტინე კოსტანტინეს ძესთან.

სტამბოლი. როგორც იმის, სულთანი მალე ახალს მინისტრებს დანიშნავს: გარეშე საქმეთა, შინაგან საქმეთა და პოლიციისას.

ამ სამის დღის წინად ორს სომეხს განზრახვა ჰქონდა ადგილობრივი სამხედრო უფროსი და ვანის გუბერნატორად ნამყოფი მოეკლათ. ორივენი დაჭრილები არიან.

ლონდონი. რუსეთის მხედრობისათვის გაკეთებულმა ნაღმის მსროლელმა გემმა „შავარდენმა“, როდესაც ზღვაზედ გამოსცადეს, რამდენად სწრაფად დასცურავსო, სხვა ყველა გემებზედ მეტი მანძილი გაიარა ერთის საათის განმავლობაში,—52 ვერსი; ასე რომ ეს გემი ყველაზედ უსწრაფესია მთელს ქვეყანაზედ.

25 სექტემბერი.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემიას“ ატყობინებენ დეპეშით ურჯუმიდგან: ურჯუმის საერო კრებამ ერთხმად დაადგინა ორმოცი ახალი სკოლა გახსნას ნორმალურ სკოლების ტიპისა“.

პარიზი, 24 სექტემბერი. ლონშანის დოღზედ პრეზიდენტის ლოჟაში მიწვეულ იქმნენ: დიდი მთავარი კოსტანტინე კოსტანტინეს ძე თავისის მეუღლითურთ, პორტუგალიის მეფე, საბერძნეთის მეფის ძე, პარისში ამ დღეებში ჩამოსული აოსტის დუკი, თავადი ლობანოვ-როსტოვსკი და სადიპლომატო კორპუსის უმთავრესნი წარმომადგენელნი.

მადაგასკარიდგაე იუწყებიან: „მიმტევმა ჯარმა 13 სექტემბერს მიაღწია ბაბებამდის და ტანანარივისაკენ მიემართება. მტერი უკან-უკან იწევს. ის მცხოვრებლები, რომლებიც ჰავასელთ ძალით შეჰკრიბეს, უკანვე ბრუნდებიან მალულად თავისს სოფლებში“.

ბერლინი. რუსეთის ფინანსთა მინისტრი 24 სექტემბერს წამოვიდა პეტერბურგისაკენ.

სტამბოლი, 24 სექტემბერი. გუშინ, ელჩების რჩევის შემდეგ, იმპერატორს წარუგზავნეს თხოვნა, რომ მიიღონ რაიმე საშუალება უწესოების მოსასპობლადა და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად. ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან გუშინ ბევრნი მივიდნენ სომეხთაგანნი და დახმარებასა სთხოვდნენ.

ტურხან-ფაშის მაგიერად გარეშე საქმეთა მინისტრად საიდ-ფაშა იქმნა დანიშნული.

სტამბოლი. მთარობამ აცნობა საელჩოებს, რომ წესიერება აღდგენილი იქნება. პოლიცია და ჟანდარმები თავიანთს სადარაჯო ადგილებს არ სცილდებიან. ჯერ-ჯერობით საქმის გარემოება კიდევ სერიოზულია.

◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებულა და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის ცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთანლეიპციგს Otto Asperger-Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—14

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი
სახელმძღვანელო
საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.
მესამე გამოცემა სურათებით.
შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.
150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго
СЛОВАРЯ
ბაგაევისა.
300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

მარგალიტა გოტიე
ალექსანდრე დუმა-შვილისა.
ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.
350 გვერ., ფასი 40 კაპ.
(10—4).

იხმარეთ მხოლოდ:
დუხები „ნევას კაპრიზი“—საუცხოვო და სასიამოვნოა.
საპონი „ნევას კაპრიზი“—მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.
ო-დე-კოლონი „ნევას კაპრიზი“—აგრილებს და დუხების მაგიერად იხმარება.
ს. ჰ. ბ. სატეხნიკო-ქიმიური ლაბორატორია.
ს.-პეტერბურგი, ალექსანდ. მოედ. 9. მოსკოვი, ვარშავა.
იყიდება ყველგან.
(7—7—4).

Дозволено цензурою, Тифлисъ 25-го Сентября 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.